1. **სადოქტორო პროგრამა** - ისტორია

ქვედარგი - საქართველოს ისტორია

დოქტორანტის პოტენციური ხელმძღვანელი - თ. ქორიძე

კვლევის თემატიკა და ანოტაცია - „ქართული ეკლესიის ისტორია“

მოციქულთა მოღვაწეობის დროიდან ქართული ეკლესია უდიდეს როლს ასრულებდა ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა ეკლესიის გაძლიერებასა და მის საყრდენ ძალად გადაქცევას ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში. თავის მხრივ, ეკლესია ცდილობდა, სახელმწიფოს მხარდამჭერი ყოფილიყო ქვეყნის გაძლიერებისა და აღმშენებლობის პროცესში.

ამასთან, ყოველთვის დიდი იყო ეკლესიის როლი ერის სულიერ გაჯანსაღებასა და ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში, ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და ბევრად განსაზღვრავდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

დოქტორანტის ფინანსური მხარდაჭერა

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების თანახმად, დოქტორანტი უფლებამოსილია მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.